

## უპატარალო ქორწილი

### ჯერბანიჯანული მაყრიონით?

როგორ შეხვდება  
იუბილეს  
ფბილისის „დინამო“?

## კლუბო, მომაც სელფასი



მანჩესტერში ეკონომიკური  
სასწაული მზადდება

## ოცდაცხრამეტი, ოცდაორი, პრემი...

იუგოსლავიელებს,  
ნორვატებს,  
კონგოელს,  
ქართველს და  
მრავალ სხვას  
ერთი გერმანელი  
სჯობნის

## ცნობიერი და ქვეცნობიერი თანამედროვე პრივუი



ამბობენ: ტაისონი  
არ გვინდა!  
ფიქრობენ:  
ტაისონი გვინდა!

# ჩაქურჩის დარტყმა ფეხბურთში

ოთხშაბათს „ჩადუელ ჰითზე“ ჩაქურჩებმა  
ამხანაგურ მატჩში დიდი ანგარიშით დამაა-  
რცხეს „ბარნეტი“.

წინა დღეს „აპტონ პარკზე“ „ბორნმუთთან“  
რამდენიმე ფეხბურთელი გამოიცადა. ამჯე-  
რად კი, როცა სარეზერვო გუნდის კალენდა-  
რში ფანჯარა ისევ გამოიძებნა, „ვესტ ჰემის“  
შემადგენლობაში ერთადერთმა უცხოელმა  
ითამაშა, ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელმაც ნა-  
ხევარდაცვაში კარგი თამაშის გარდა მეკარი-  
სთვის მარჯვედ გატანილი გოლიც მიითვალა.

ქართველი ფეხბურთელი, ეროვნული ნაკრე-  
ბის მცველი, „აპტონ პარკზე“ ხანგრძლივ და  
საფუძვლიან გასინჯვაზეა — აი, ეს შეგიძლია  
ათ წაიკითხოთ „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ ოფი-  
ციალურ საინტერნეტო გვერდზე.

საქართველოს ნაკრების და თბილისის „ლო-  
კომოტივის“ 19 წლის მცველი ზურაბ ხიზანი-  
შვილი, მეორე თვე დაიწყო, ლონდონურ „ვესტ  
ჰემ იუნაიტედში“ ვარჯიშობს და ახალი პატ-  
რონის გარკვევამდე ყოფილ კლუბთან სადა-  
ვო კონტრაქტის თაობაზე ფიფას ვერდიქტს  
ელის.

## ხიზანიშვილმა «ვესტ ჰემში» პირველი გოლი გაიტანა

— გუშინ მესამედივიზიონელ „ბარნეტს“ ვეთა-  
მასუთ ამხანაგურად და 4:1 მოვიგეთ — გვითხრა  
წუხელ ზურაბ ხიზანიშვილმა, ლონდონში ტე-  
ლეფონით რომ დაუკავშირდით.

— „ბრედფორდთან“ ამხანაგური მატჩი  
3:3 დასრულდა და ორი გოლი შენი  
ბასით გავიდა. ამჯერად გოლის გატანით  
გამოგიჩინია თავი.

— მესამე გოლი გავიტანე. მეკარესთან ერთ-  
ერთზე შევედი და ფეხებზე დაგურტყი.

— გამოდის, შენი თამაშით უკმა-  
ყოფილო არც ამჯერად ხარ?

— მთავარია, მწვრთნელები დამრჩენენ კმაყო-  
ფილი. ჯერჯერობით უკმაყოფილების საბაბი არ  
მიმიცია. ალბათ ამიტომაცაა, მეორე თვეა, შინ არ  
მიშვებენ.

იხილეთ მეორე გვერდი




ზურაბ ხიზანიშვილი

გადამი კატილიპის ფოტო

# გუგა გრეგალაშვილი

## ბრემ რუხეცკიმ პირველი ფაასდინა



სენსაცია — ემოცია. გრეგ რუხეცკი და გუსტავო კუერტენი: მოგება-სიხარული და წაგება-წუხილი მშები არიან?



მსოფლიოს  
პირველი  
ჩოგნისთვის,  
გუსტავო  
კუერტენისთვის  
მელბურნს ილბლიანი  
ქალაქი ნამდვილად  
არ ეთქმის — მსოფლიოს  
დამპყრობი გუგა ავსტრალიის  
ლია პირველობაზე უკვე  
მეხუთედ ვერ გასცდა მეორე  
წრეს. ამჯერად ბრაზილიელის  
ცოდვა ინგლისელმა გრეგ  
რუხეცკიმ დაიდა.  
ხუთ თვალსასეირო სეტში  
მან 4:6, 6:4, 6:3, 2:6, 9:7 მოიგო  
და „ოუფენის“ პირველი  
ნამდვილი სენსაციის  
ავტორიც შეიქნა.

იხილეთ მეცხრე გვერდი



AP მელბურნიდან

REUTERS მელბურნიდან

AP მელბურნიდან











# კლუბი, მომხმარებელი და ფიგურა დარღვევანი



დევიდ ბექემი ია, იშვიათი ხელფასის მომხმარებელი

დევიდ ბექემის ამბავს უარყოფს ვერ გამიგია, ვინ იგონებს ამხელა რიცხვებსო. თუმცა მსოფლიოს უმდიდრეს კლუბს სახელფასო პოლიტიკა მოუწერია ხელი რომ აქვს, ფაქტია. იგივე ჯილბა თქვა, ადრე ყველაფერი წესით და რიგით მიდიოდა, არსებობდა მაქსიმუმი, რომელსაც ვერავინ დარღვევდა და ხელფასის მომატების ბუმიც არ იყო, ყველას დაახლოებით ერთნაირი ანაზღაურება ჰქონდა, ახლა კი ასეთი რამ შეუძლებელია, თუმცა როგორმე უნდა ვეცადოთ ამ პრობლემის დარეგულირებასო. თავშიც ვთქვით და გავიმეორეთ, რომ ყველაფერი რომი კინის ხელფასით დაიწყო.

დევიდ ჯილბა ისიც თქვა, უცხოური კლუბები დიდი ხელფასის შეთავაზებით ცდილობენ ჩვენი ფეხბურთელების გადაბირებას, მაგრამ არაფერი გამოუვათ — ალექს ფერეირასთან ისეთი გუნდი შექმნა, მისი დაშლა არ იქნება.

ამ აზრს არ ეთანხმება ლუიზ ფიგუეს კაცი რა შუაშიაო, იკითხავთ. „მანჩესტერთან“ მას, ცხადია, არაფერი აკავშირებს, მაგრამ დევიდ ბექემის ქომაგი ყოფილა და შეგობრულ რჩევას აძლევს, მეტის მიღწევა შეეძლება, ოღონდ კონტრინტზე თუ გადახვალ სათამაშოდ, იმ შემთხვევაში. ფიგუს საკუთარი მაგალითი მოჰყავს, დიდი ფეხბურთის თამაში მას შემდეგ დაიწყო, რაც „სპორტინგიდან“ წავიდა, ახალი გუნდები, ახალი ტაქტიკური სქემები — ყველაფერი ეს კლასის ამადღებას უწყობს ხელსო. ფიგუს ერთი საბუთიც აქვს, ბექემმა ინგლისში ყველაფერი მოიგო და უმოტივაციოდ არის დარჩენილი. და სად ურჩევს ბექემს თამაშს?

— იტალია ძალიან კარგი ვარიანტია, მაგრამ ყველაზე ნაღვ ფეხბურთის მანაც ესპანეთში თამაშობენო.

გიორგი ღარჯანი

სომეხები ეუბნებიან, ნუ იხამთ მაგას, სხვებსაც მადა გაეხსნებათო. აკი ასეც მოხდა. „მანჩესტერ იუნაიტედზე“ მოგახსენებთ, რომელმაც არსებული სახელფასო ბალანსი დაარღვია და კაპიტანი როი კინს გასამრჯელო გაუზარდა. ირლანდიელი ახლა კვირაში 52 ათას გირვანქას (76.500 დოლარი) იღებს. ჰოდა, დადგა რიგი — ყველა ის ფეხბურთელი, რომელთაც მოქმედი კონტრაქტი უახლოეს მომავალში უთავდებათ, კაპიტანს ბაძავს და ხელფასის მომატებას ითხოვს. რიგი კი სოლიდურია: ენდი კოულთან და რაიან გიგზთან კლუბი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას კონტრაქტის გაგრძელებაზე და შესაბამისად, ხელფასის გაზრდაზე. სეზონის

ბოლოს დუაიტ იორკსა და პოლ სკოულთანაც იგივე საქმეა მოსაგვარებელი. ასევე სეზონის ბოლოს იწურება დენის ირვინისა და ტედი შერინგემის კონტრაქტის ვადები და მართალია, „მანჩესტერი“ მათ მომავალზე ჯერ არ დაფიქრებულა, მაგრამ... დატოვებენ, აბა, რას იზამენ (ცხადია, ჯამაგირის მომატების საფასურად). ყველაზე შორს მაინც დევიდ ბექემი მიდის. მისი ახლანდელი კონტრაქტი 2003 წლამდეა, მაგრამ მის საარაკო მადაზე (ამბობენ, ცოლის წაქეზებით) ლეგენდები დადის. ბოლოს ასეთი რიცხვი დასახელდა — 160 ათასი გირვანქა კვირაში. კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი



სამუელ კუფური: „ბარსელონაში“ მინდაა!

# ბთხოვით, დაფიქრდათ

**რამდენიმე** დღის წინ ესპანურმა „ბარსელონამ“ მიუნხენის „ბაიერს“ წინადადებით მიმართა — 17 მილიონი დოლარის სანაცვლოდ თქვენი განელი მცველი სამუელ კუფური დაგვითმეთო. გერმანელებმა ეს შეთავაზება შორს დაიტოვეს, მიუღი ჩვენი დაცვა კუფურზეა აწყობილი და ასე იოლად ვერ შევედევითო. მერე ბავარიელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელმა განელის გასაგონად განაცხადა, გუნდიდან წასვლაზე არც იოცნებოსო. თითქოს ყველაფერი ამით დასრულდა, მაგრამ... კუფურმა თავისი კლუბის შეფებს სთხოვა, იქნებ კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონით და გადაწყვეტილებაც ისე მიიღოთ.

„გერმანიაში სრულიად ახალგაზრდა ჩამოვედი. „ბაიერს“ ჩემი გადმოყვანა ძვირი სულაც არ დასჯდომია, ახლა რომ გამეფდოს, კარგ მოგებასაც ნახავს. მიუნხენში თავს მშვენივრად ვგრძნობ, მაგრამ „ბარსელონის“ სულ სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს. ძალიან მინდა იქ თამაში. ვიცი, კატალონიელებსაც სურთ, თავიანთ გუნდში მიხილონ. იმედია, ყველაფერი ასეც გადაწყდება“ — ამბობს კუფური.

„ესპანეთში წინადადებაზე არც დაფიქრებულვართ“ — აღიარა მოგვიანებით ამ ამბავთან დაკავშირებით „ბაიერის“ ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ. კუფური „ბაიერში“ 1993 წელს მივიდა. მაშინ განელი მცველი 17 წლის იყო. სამუელს თავიდან მიუნხენელთა ძირითად გუნდში ფეხის მოკიდება გაუჭირდა, ამიტომ ჯერ სათადარიგო გუნდში იყო, მერე დროებით „ნიურნბერგში“ გაანათხოვეს, თუმცა იქიდან მალე დაიბრუნეს და მას მერე კუფური „ბაიერის“ უცვლელი წევრია. კონტრაქტით მან ამ გუნდში 2003 წლის ივნისამდე უნდა ითამაშოს.

**Arsenal**  
**Tony Adams**  
Arsenal  
COLLECTOR NUMBER: PRO170

**თეოდოსოსა უბილიში!**

უაიზი and more...  
სტამბი and more...  
პირუცნი and more...  
პეტი and more...  
რივალდო and more...  
ზევილორფი and more...  
ბირჰოფი and more...  
კანუ and more...  
ლეონარდო and more...  
ჯორბაუფი and more...  
აღამსი and more...  
იორკი and more...  
რომაარიო and more...  
ნიტაბი and more...  
რობერტო პარლოსი and more...  
პაფუ and more...  
ოუანი ბაუაბი and more...

**ჩათვალეთ, რომ პრობლემა (რა ვარუდით იმ ბიჭს დაბადების დღეზე) მოხსნილია!**

**Roberto Carlos**  
Brazil  
COLLECTOR NUMBER: PRO150

**Oliver Bierhoff**  
AC Milan  
COLLECTOR NUMBER: PRO063

**Cafu**  
Brazil  
COLLECTOR NUMBER: PRO056

**RIGHT HERE RIGHT NOW**

**ბარბი ბეფალი**

**35კე**

**ჭაფჭაფადის 19**

**Frank Leboeuf**  
Chelsea  
COLLECTOR NUMBER: PRO181

**Michael Owen**  
Liverpool  
COLLECTOR NUMBER: PRO052
























REUTERS მელბურნიდან

# ბრძოლები

მელბურნის კორტებზე ვენებები დულს და განცდები იღვრება. თამაშმა ბევრი ახარა და ბევრს წაუხდინა გუნება. გამწარებულმა არგენტინელმა ფრანკო სკილარიმ შუა თითიც კი დაანახა მსაჯს.. მეთერთმეტე ნომრად განთესილი არგენტინელი კანადელმა დანიელ ნესტორმა დაამარცხა ოთხ სეტში. ოთხ სეტშივე წააგო ფრანგმა ყული ბოტერმა. იგი სამხრეთაფრიკელმა უეინ ფერერამ დაამარცხა. ფრანგმა გამეტებით სცა ჩოგანი მინას და გატეხა. ავსტრალიელი პატრიკ რაფტერისგან დამარცხებული რუსი ნიკოლაი დავიდენკო კი კორტზე გაშოტილა და ფეხები აუშვერია.



REUTERS მელბურნიდან

# ამერიკაში ინყება

ჩრდილოეთ ამერიკაში ფიგურული სრიალის უამი დადგა. ვინიპეგში რომ კანადის ჩემპიონატი დაიწყო, დღეს ბოსტონში შეერთებული შტატებისა იწყება. ამერიკის ჩემპიონი მიშელ კვანი უკვე ბოსტონშია და შემოჯარულ ფურნალისტებს ულაბარაკება. ყინულზე კი შეჯიბრის გასსნის გენერალური რეპუტიცია მიმდინარეობს. ფიგურულად მოციგურავეთა გუნდი „ჰაიდენუთის“ საგანგებო ცეკვას ამზადებს მაყურებლისთვის.




REUTERS ბოსტონიდან

# მათაშვა

განთქმულ მოკრივეებს, ან თამაშს დათხოვილ ინგლისელ იან ბოთემს ისლა დარჩენია ანკესი ისროლოს ტბაში და გული ქაშაყის ჭერას გადააყოლოს. მით უმეტეს, რომ თევზაობის სეზონი ახლახან გაიხსნა. სამიოდ დღის წინათ კი ინგლისურმა ტაბლოიდებმა ლამის ოჯახი დაუნგრეს ბოთემს, რახანდა ბარის ავსტრალიელ მოცეკვავე გოგოსთან რომანი გაუხეთქეს.



REUTERS კემბრიჯიდან



REUTERS ბოსტონიდან

# სარბიელი

საორტული გაჯეთი  
გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯიანი  
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი  
რედაქტორი თამაზ მიხრიალელი  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მამუკელი  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კლტორაძე  
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბუიკაძე, სოლომონ გულისა-  
შვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინსარიძე,  
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე  
ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, და-

ვით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე; კალა-  
თბურთის რედაქცია ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი,  
ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე  
ფოტორეპორტიორები გურამ დოღუნაშვილი, ბადრი კვიციანი  
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი  
გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა  
გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, კახა თალაკვა-  
ძე, ტრისტან კახურაშვილი, ლავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე,  
თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ  
ხელაშვილი  
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
შაბაძის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი - 79, საფოსტო  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
http://www.sarbieli.com.ge